2023

ექსპერტიზა







ექსპერტი:

დავით გოქსაძე

ექსპერტიზა

ქალაქ თბილისში ჭირნახულის ქუჩა N74-ში არაწვადი სამშენებლო მასალაების სასაწყობე შენობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის შეფასების ანგარიში

(საბოლოო შეფასება)

შესწავლის საგანი:

საწყობის შენობის (*შემდეგში საპროექტო ობიექტი*) **სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის** (*შემდეგში პროექტი*) **ტექნიკური რეგლამენტთან „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობა.**

დამკვეთის რეკვიზიტები:

- სახელი და გვარი: შ.პ.ს. „ბალტვერი“
- საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: 400148023;
- მისამართი: საქართველო, ქალაქ თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორპ. 13, ბინა 146;
- ტელ.: (+995) 598 92 22 54

საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები:

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.19.14.004.003 (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882022947518)
- მესაკუთრე: სააქციო საზოგადოება "ეკრანი-ლილო";
- მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ლილოს დასახლება;
- საპროექტო შენობა/ნაგებობა: [1]
  - გამოყენების სახეობა: **სასაწყობე;**
  - რაოდენობა: 1
- მშენებლობის კლასი: **IV**

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები: [1]

- ტექნიკური დოკუმენტაცია (*შემდეგში ტდ*): სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი; თბილისი, 2023 წ.
- პასუხისმგებელი არქიტექტორი/სპეციალისტი: დათო მაისაშვილი
- ტდ ფორმატი: CAD და PDF ფაილის ფორმატები.

[1] რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა.

ტექნიკური რეგლამენტები: [2]

1. ტექნიკური რეგლამენტი – „**შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები**“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ N41 დადგენილებით – [**ref.#: 41**].

ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე:

1. **ref.#: 41**, მუხლი 2:

   „**1. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-პატრონობაზე**.

   2. იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი.

   3. თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.“

შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები:

საპროექტო ობიექტის შესაბამისობა რეგლამენტთან შემდეგ კომპონენტებში:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმოჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.

ინფორმაცია ექსპერტის შესახებ

- სახელი გვარი: დავით გოქსაძე
- დიპლომის ასლი: დანართი 1;
- კვალიფიკაციის ცნობები: დანართი 2.

[2] რომლის საფუძველზეც ან/და რომელთა მიმართებაშიც შემოწმდა ტექნიკური დოკუმენტაცია.

დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

წინამდებარე საექსპერტო შეფასების ანგარიშის დანიშნულებაა დამკვეთს მიაწოდოს საექსპერტო შეფასების შედეგები, რაც მისთვის საჭიროა დაპროექტებული შენობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მე, დავით გოქსაძე, არქიტექტურის მაგისტრთან განათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე არქიტექტორმა მოვამზადე რა წინამდებარე ანგარიში, რომელიც ეფუძნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოწოდებული ტდ-ს, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მასვე, ხელისმოწერით ვადასტურებ შეფასების ფარგლებში ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და შესაბამისობას რეგლამენტებთან (**ref.#: 41**).

ანგარიში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დანიშნულებით, გარდა ამ ანგარიშში მოყვანილი რეგლამენტებით (**ref.#: 41**) უშუალოდ გათვალისწინებულისა. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ შემოწმებული ტდ-ის რეგლამენტებთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე, ან/და მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

ექსპერტი **დავით გოქსაძე**

17.03.2023, თბილისი

გამოვლენილი გარემოებები:

შენიშვნა:

N	*ამ პარაგრაფში გამოყენებული აღნიშვნები*	
1.	×	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის სრულად შესაბამისი*
2.	—	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის ნაწილობრივ შესაბამისი*
3.	◘	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი განისაზღვრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ*

შესწავლილ იქნა შენობის ტდ, ზემოხსენებულ რეგლამენტებთან (**ref.#: 41**) მიმართებაში და გამოვლენილ იქნა შემდეგი გარემოებები:

1. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა:

1.1. „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზის ნაწილში:

N	კომპონენტი	გააჩნია	არ გააჩნია
1.	თითოეული დაკავებულობისა და გამოყენების აღწერა	×	
2.	კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი	×	
3.	სიმაღლის შეზღუდვები	×	
4.	ფართობის შეზღუდვები	×	
5.	გარე კედლის ცეცხლმედეგობა და ღიობები	×	
6.	ხანძრისაგან დაცვის სისტემები	×	
7.	მოთხოვნები გასასვლელებისადმი	×	
8.	მისაწვდომობა	×	
9.	იატაკის და სახურავის ანაწყობები	×	
10.	ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები	×	
11.	წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები	◘	

ცხრილი 1. კომპონენტების ნუსხა

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები სრულად.

2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები:

ref.#: 41. თავი 3, ცხრილი 302, ქვეთავი 403 და 406

დაკავებულობები

დასაპროექტებელ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია ორი შენობის მშენებლობა - არაწვადი სამშენებლო მასალების საწყობი და დამხმარე (I კლასის საპირფარეშო) შენობა.

საპროექტო საწყობი წარმოადგენს 1 სართულიან შენობებს. შენობის გამოყენებები და შესაბამისი დაკავებულობები განსაზღვრულია წესების მე-3 თავის შესაბამისად. საწყობის შენობაში, რომლისთვისაც არის დამუშავებული წინამდებარე ექსპერტიზა, არ გვხვდება დამხმარე სივრცეები. ობიექტის სრულად არის სწ-2 ჯგუფის დაკავებულობა - შენობაში არ გვხვდება შერეული დაკავებულობები.

გამოყენება	დაკავებულობის ჯგუფი	დატვირთვა	ლოკაცია	
		S (m²)	ნუმერაცია	სართული
საწყობი არაწვადი სამშენებლო მასალები	**სწ-2**	2696.0	N1	1

დაკავებულობების დატვირთვები

საპროექტო შენობების დაკავებულობების დატვირთვების ანგარიშისთვის გამოყენებულია დ.დ.ფ. მაჩვენებლები ცხრილი 1004.1.2-დან.

შენობაში დაგროვებული დატვირთვა არ გვხვდება, ასევე არ გვხვდება დამხმარე გამოყენებები.

დაკავაბულობის დატვირთვის ანგარიში შესრულებულია, მთლიანი სივრცისთვის, აღნიშნულზეა დამოკიდებული თითოეულის გასასვლელი საშუალების ზომა და რაოდენობა.

ცხრილი 2. სივრცეების დ.დ.

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სივრცე		დატვირთვა		
		N	სართ.	**S** (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.
სწ-2	საწყობი	1	1	2696.0	46,5	58

ცხრილი 3. სართულების დ.დ.

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სართული	დატვირთვა		
			S (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.
სწ-2	საწყობი	1	2696.0	46,5 (მთლიანი)	58

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი:

ref.#: 41. ცხრილი 503

კონსტრუქციის ტიპები პირდაპირ კავშირშია შენობისათვის დასაშვებ სიმაღლესთან და ფართობთან, მათი გამოყენების/დაკავებულობის საფუძველზე. წესების საუკეთესო საერთაშორისო გამოყენება გვკარნახობს, რომ დამპროექტებელმა ჯერ უნდა განსაზღვროს სასურველი გამოყენება/დაკავებულობის ჯგუფი, ამის შემდეგ გამოიყვანოს სასურველი სიმაღლე და ფართობი, და ბოლოს — განსაზღვროს კონსტრუქციის ტიპი.[3] ამის შემდგომ, განისაზღვრება ცეცხლემედეგობის მიმართ მოთხოვნები ცხრილი 601 და 602.

3.1. საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლეები და ფართობები შერჩეულია სწორად *წესების* თავი 5 ცხრილი 503-ს მიხედვით, დაკავებულობის ჯგუფის გათვალისწინებით:

[3] მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის ანალიზში ყოველთვის ჯერ კონსტრუქციას უთითებენ და შემდეგ ფართობსა და სიმაღლეს.

ცხრილი 4. სიმაღლე და ფართობები

დაკავებულობის ჯგუფი	დაგეგმილი		
	შენობის სიმაღლე (მ)	სართულიანობა	S (m²)
სწ-2	10,0	1	2696.0

3.2. დაგეგმილი დაკავებულობის ჯგუფის და შენობის პარამეტრების მიხედვით, მიღებულია მაქსიმალური შემზღუდავი (მარცხნიდან-მარჯვნივ რიგის მიხედვით) ფართობები და სიმაღლეები:

ცხრილი 5. სიმაღლე და ფართობი შესაბამისი წესებიდან

კავებულობის ჯგუფი	მაქსიმალური დასაშვები			კონსტრუქცია	
	სიმაღლე (მ)	სართულიანობა	S (m²)	ტიპი	კლასი
სწ-2	19.8	4	3620	III	A

3.3. საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი **შერჩეულია** ფართობისა და **სიმაღლეების** გათვალისწინებით და ყველა ობიექტის კონსტრუქციის ტიპად მიღებულია **III (A)**.

3.4. ცეცხლმედეგობის ანგარიშისთვის გამოყენებულია ცხრილი 601, მიუხედავად იმისა, რომ ანალიზში ცალკე არ არის მოცემული ცეცხლმედეგობის ამოკრებილი ცხრილი, მოთხოვნები პროექტით სწორად არის განსაზღვრული. კერძოდ:

- **სტრუქტურული ჩარჩო:** 1 სთ > გათვლილია 4 სთ. (სტრუქტურული ფოლადი მილისებრი ფორმის, საიზოლაციო მასალად გამოყენებუილია ვერმიკულიტიანი თაბაშირის ბათქაში ლითონის ბადეზე (იხ. 722.5.1.3))
- **გარე მზიდი კედლები:** 2 სთ > ასეთი არ გააჩნია;
- **შიგა მზიდი კედლები:** 1 სთ > ასეთი არ გააჩნია;
- **გარე არამზიდი კედლები:** (ცხრ. 602) 1 სთ > გათვლილია 2 სთ (15 სმ თუნუქის ფურცლების და მინერალური ბოჭკოს კომპოზიტური პანელი, გარე დამაგრებით, ASTM E119_ის შესაბამისად).
- **შიგა არამზიდი კედლები**: 0 სთ - ასეთი არ გააჩნია;
- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 1 სთ > გათვლილია 1 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3));
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები:** 1 სთ > გათვლილია 1 სთ-ზე მეტი (სტრუქტურული ფოლადის ორტესებრი კოჭები და სტრუქტურული ფოლადის წამწე ანაკრები კუთხოვანა პროფილის კოჭებისგან, საიზოლაციო მასალად გამოყენებუილია ვერმიკულიტიანი თაბაშირის ბათქაში ლითონის ბადეზე. (იხ. 722.5.2.3); სახურავის ფენილი — 10 სმ თუნუქის ფურცლების და მინერალური ბოჭკოს კომპოზიტური პანელი, გარე დამაგრებით, ASTM E119-ის შესაბამისად).

3.5. **ტიპი III (A)**. კონსტრუქციისთვის, ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით მიღებულია *სწორად,* ცხრილი 602 შესაბამისად.

ცხრილი 6. გარე კედლების ცეცხლმედეგობის შეფასება (იხილეთ სქემასთან ერთად)

გარე კედლის მონაკვეთი	დაკავებულობა	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი – X (მ)	კონსტრუქციის ტიპი	ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული
G, G'	სწ-2	3 ≤ X < 9	III (A)	1 სთ	1
H, H'		X ≥ 9		0 სთ	0

კერძოდ, თითოეული გარე კედლის დაშორება ცალ-ცალკეა გაზომილი და მისადაგებული ცხრილის პარამეტრებსა და დაკავებულობის ჯგუფებს.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

4.1. გასასვლელთან მისადგომი: გასასვლელთან მისადგომი 1014 ქვეთავის შესაბამისად არის დაპროექტებული. შუალედური სივრცეები პროექტში არ გვხვდება, შესაბამისად არ არის გამოყენებული და დაცულია 1014 ქვეთავის მოთხოვნები, მათ შორის **1014.2** და **1014.2.1** მოთხოვნები, ასევე დაცულია გასასვლელისაკენ სავალი საერთო ბილიკის მიმართ ცხრილი 1014.3-ის მოთხოვნები:

ცხრილი 7. საერთო სავალი ბილიკის შეფასება

სართული	დაკავებულობა		გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური საერთო ბილიკი [4]		
	ჯგუფი	დატვირთვა	საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
1	სწ-2	> 30	არა	23 მ	18 მ

4.2. გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები: კომპონენტების რაოდენობის გამოთვლა შესრულებულია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვების საფუძველზე, **ცხრილი 1015.1**, 1015.1 და 1015.1.1 პარაგრაფების გათვალისწინებით და დაცულია წესების მოთხოვნები. ქვემოთ მოცემულია თითოეული დაკავებული სივრციდან გასასვლელის გზა-კარების რაოდენობის ანგარიში:

ცხრილი 8. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის

სართული	დაკავებულობის ჯგუფი	სივრცე	დამკავებელთა დატვირთვა		სივრციდან გასასვლელის გზა-კარის რაოდენობა	
			არსებული	მოთხოვნილი	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
1	სწ-2	1	58	29	2	2

4.3. გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილი: სწორად არის მიღებული გასასვლელთან მისადგომების სავალი მანძილები, ცხრილი 1016.2 საფუძველზე და ასახულია პროექტში. კერძოდ, ყველაზე მკაცრი მაქსიმალური სავალი მანძილი დაცულია:

ცხრილი 9. მაქსიმალური სავალი მანძილები

სართული	დაკავებულობა	გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი[5]		
		საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
1	სწ-2	არა	90 მ	46,0 მ

[4] ცხრილში აღწერილია და შეფასებულია ყველაზე მკაცრი მოთხოვნის მქონე სივრცეები (ანუ ყველაზე დაშორებული).

[5] ცხრილში აღწერილია და შეფასებულია ყველაზე მკაცრი მოთხოვნის მქონე სივრცეები (ანუ ყველაზე დაშორებული).

4.4. <u>დერეფნები:</u>

4.4.1.შენობაში დერეფნები არ გვხვდება;

4.5. <u>გასასვლელის რაოდენობა:</u> პროექტით გათვალისწინებულია 1021.2(2) ცხრილს მოთხოვნები და შენობაში წარმოდგენილია 2 გასასვლელი კარი.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

5.1. გზა-კიბეების და სხვა საშუალებების გამტარუნარიანობა მოწყობილია 1022 ქვეთავის შესაბამისად. მათი გამტარუნარიანობა მიღებულია **1005.3.1** და **1005.3.2 ქვეთავების** შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს:

ცხრილი 10. გამტარუნარიანობის შეფასება

სართული	დაკავებულობის ჯგუფი	Σ დ.დ.	კომპონენტი	გამტარუნარიანობა		
				გამტარუნარიანობის ფაქტორი (სმ)	მოთხოვნილი სიგანე (სმ)	გათვალისწინებული სიგანე (სმ)[6]
1	სწ-2	59	**გზა-კიბე**	-	-	-[7]
			დერეფანი	-	-	-[8]
			გზა-კარი	**0,51**	30,09	190

5.2. უზრუნველყოფილია უწყვეტობა შენობაში;

5.3. გზა-კიბე და შესაბამისად მისი ბაქნები შენობაში არ გვხვდება;

5.4. დერეფანი შენობაში არ გვხვდება;

5.5. ჩიხურ დერეფნები შენობაში არ გვხვდება.

5.6. კარების მინიმალური ზომები მიღებულია ქვეთავი 1008.1.1 მიხედვით: არანაკლებ, 82 სმ თავისუფალ სიგანე.

5.7. დაცულია ქვეთავ 1008.1.2-ის მოთხოვნები კარებთან მიმართებაში.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

6. მისაწვდომობის შეფასება

საპროექტო დაკავებულობებთან მიმართებაში პროექტის მიხედვით:

6.1. **ლიფტები:** დადგენილებით 4 სართულზე ნაკლებ შენობას აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი ლიფტი არ მოეთხოვება;

6.2. **ბაქან-ლიფტი:** შენობა ერთ სართულიანია და არ მოეთხოვება ბაქან-ლიფტი;

6.3. **გზა-კიბეები.** შენობა ერთ სართულიანია და გზა-კიბეები არ გვხვდება, შესაბამისად არ მოეთხოვება თავშესაფრის ფართობი;

6.4. **კარები:** თავისუფალი სიგანე > ან = 82 სმ (ერთი ფრთა); თავისუფალი სიმაღლე > ან = 205 სმ (1008 ქვეთავი);

6.5. **მისაწვდომი სვლაგეზი**: მიწის ნაკვეთზე და შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზი (ასახულია ნახაზებზე - შესასვლელებში გათვალისწინებულია შ.შ.მ პირთა პანდუსები 8% ქანობით.).

[6] იანგარიშება ჯამური სიგანე.

[7] პროექტში გზა-კიბე არ არის წარმოდგენილი.

[8] პროექტში დერეფნები არ არის წარმოდგენილი.

6.6. **ტუალეტისა და სააბაზანოს მოწყობილობები:** პროექტში გათვალისწინებულია **1109** ქვეთავის მოთხოვნით ICCA117.1-ი სტანდარტის შესაბამისი ტუალეტის ოთახები.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

7.1. გარე კედლის ღიობების ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით წესების შესაბამისაა დაგეგმარებული (ცხრილი 705.8)

ცხრილი 11. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან

მონაკვეთ		ფართობები (კვ.მ)			ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი	დაცვის ხარისხი	დასაშვები ფართობი (%)	გათვალისწინებული
		ფასადის	ღიობის					
			დაცული	დაუცველი				
G	±0.00	-	-	-	7.5 მ და მეტი და 9.0 მ-ზე ნაკლები	დაუცველი	70%	0%
H[9]	±0.00	-	-	-	9.0 მ ან მეტი	დაუცველი	შეუზღუდავია	-



სურათი 1. გარე კედლის ღიობების ფართობის ანგარიშის სქემა 705,8 ცხრუილის შესაბამისად, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით.

7.2. შენობას 705.11 ქვეთავის მე-6 გამონაკლისის საფუძველზე: „თუ, 705.8 ქვეთავის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე, გარე კედლის ფართობის, სულ მცირე, 25%-ზე დასაშვებია დაუცველი ღიობები“, შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

8. იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება

8.1. შესრულებულია წესების მოთხოვნათა დაცვით. იხ. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

[9] აღნიშნულ მონაკვეთზე ღიობების დასაშვები ფართობი შეუზღუდავია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გმომდინარე, შესაბამისად არ არის ნაწარმოები მათი პროცენტულობის ანგარიში.

- **გარე არამზიდი კედლები:** (ცხრ. 602) 1 სთ > გათვლილია 2 სთ (15 სმ თუნუქის ფურცლების და მინერალური ბოჭკოს კომპოზიტური პანელი, გარე დამაგრებით, ASTM E119_ის შესაბამისად).

- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები:** 1 სთ > გათვლილია 1 სთ-ზე მეტი (სტრუქტურული ფოლადის ორტესებრი კოჭები და სტრუქტურული ფოლადის წამწე ანაკრები კუთხოვანა პროფილის კოჭებისგან, საიზოლაციო მასალად გამოყენებუილია ვერმიკულიტიანი თაბაშირის ბათქაში ლითონის ბადეზე. (იხ. 722.5.2.3); სახურავის ფენილი — 10 სმ თუნუქის ფურცლების და მინერალური ბოჭკოს კომპოზიტური პანელი, გარე დამაგრებით, ASTM E119-ის შესაბამისად).

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

9.1. შენობაში შერეული დაკავებულობები არ გვხვდება, შესაბამისად გამმიჯნავები არ მოითხოვება.

9.2. პროექტში თანმხლები გამოყენება არ გვხვდება.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

***ref.#: 41**, თავი 9*

10.1. <u>ავტოსაშხეფი სისტემები:</u> არ მოეთხოვება (ქვეთავები 903, 903.3, 903.2.10-903.2.11);

10.2. <u>ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები:</u> არ მოეთხოვება (ქვეთავები 904, 904.2);

10.3. <u>სახნძრო მილდგარების სისტემები:</u> არ მოეთხოვება (ქვეთავები 905, 905.3, 905.3.1...905.3.7);

10.4. <u>ხელის ცეცხლმაქრები:</u> სასაწყობე სივრე აღჭურვილიათით A2 კლასის ხელის ცეცხლმაქრით, დაცულია მოთხოვნა ცეცხმაქრამდე არაუმეტეს 23 მ-იან მანძილთან დაკავშირებით (ქვეთავები 906, 906.1...906.3, 906.3.1, ცხრილი 906.3.1);

10.5. **ხელით სამართავი კოლოფი:** 907 ქვეთავის თანახმად ობიექტს არ მოეთხოვება სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემები, თუმცა სახანძრო განგაშის ხელით სამართავი ერთი კოლოფი მაინც უნდა განთავსდეს 907.4.2.1 ქვეთავის მიხედვით განსაზღვრულ ადგილში - „სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები არ უნდა განთავსდეს თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ზე მეტი დაშორებით. ისინი ისე უნდა განთავსდეს, რომ უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატებოდეს“.

10.6. **სახანძრო განგაშის სისტემა:** შენობაში გათვალისიწინებულია 907.2 ქვეთავით მოთხოვნილი კვამლზე მორეაგირე დეტექტორები, რომელიც დამკავებლებს შეტყობინებებს აწვდის 907.5 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი ხმოვანი და მხედველობითი განგაშის სახით.

10.7. <u>საავარიო განგაშის სისტემები:</u> არ მოეთხოვება <u>(ქვეთავები 908, 908.1...908.7)</u>;

10.8. <u>კვამლისა და სითბოს გაწოვა:</u> არ მოეთხოვება <u>(ქვეთავები 910, 910.2, 910.2.1, 910.2.2)</u>;

10.9. <u>სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:</u> პროექტში გათვალისწინებულია სახანძრო ჰიდრანტი, <u>(ქვეთავები 912, 912.1...912.5)</u>.

საპროექტო შენობა-ნაგებობები აკმაყოფილებს ბუნებრივი განიავების მოთხოვნებს.

სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:
- ცეცხლის და კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება.

ხანძრისაგან დაცვის სისტემები შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

11.1.წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობის საანგარიშოდ გამოყენებულია 1602.1 ცხრილი.

ცხრილი 16. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები

სართული	აღწერილობა /დაკავებული	სივრცე	დ.დ.[10]	აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები													
				უნიტაზები				ხელსაბანები				აბაზანები/ შხაპები		წყლის დასალევი შადრევნები		სამომსახურო ნიჟარა	
				ქალი/ კაცი		ქალი/ კაცი		ქალი/კაცი				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
				მოთხოვნილი		გათვალისწინებული		მოთხოვნილი		გათვალისწინებული							
1	სწ-2	N 1	58	1	1	1	1	1	1	1	1	-		1	1	1	1

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

დასკვნა:

ჩემ მიერ შესწავლილი ტდ-ის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტების (**ref.#: 41**) მოთხოვნათა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო ობიექტის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი შეესაბამება ხსენებული რეგლამენტების მოთხოვნებს და ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

ექსპერტი **დავით გოქსაძე**

17.03.2023, თბილისი



[10] თითოეული სქესის დამკვებელთა რაოდენობის დასადგენად დამკვებელთა საერთო რაოდენობა ორზე უნდა გაიყოს.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 002132

This is to certify that Mr./Mrs. *David Goksadze T* in *2000* completed a full academic course of the *Institute of Architecture of the Georgian Technical University* majoring in *Architecture*

By resolution of the State Examination Board, dated *July 11, 2000* *Mr. David Goksadze T* is conferred the present DIPLOMA and the qualification of *Architect*

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY 211349192

City *Tbilisi* *6. x. 2000*

Registration № *01619* Secretary *Peradze*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 002132

მიეცა *დავით თეიმურაზის ძე გოქსაძეს* მასზედ, რომ მან *2000* წელს დაამთავრა *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტი* სრული კურსი, სპეციალობით *არქიტექტურა*

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *2000* წლის *11 ივლისის* გადაწყვეტილებით *დავით თეიმურაზის ძე გოქსაძეს* მიენიჭა *არქიტექტორის* კვალიფიკაცია

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი *თბილისი* *6. x. 2000*

სარეგისტრაციო № *01619* მდივანი

სახელი, გვარი: დავით გოქსაძე

დაბადების თარიღი: 1978 წ. 19 თებერვალი

განათლება:

1995-2000 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი (მაგისტრთან გათანაბრებული).

სამუშაო გამოცდილება

2011 წლიდან დღემდე შპს „არქლაინი“ და შპს „არქსვეტის“ დირექტორი მოვალეობები: არქიტექტურული პროექტების მომზადება
„სოკარ ჯორჯიან პეტროლეუმი“ საპროექტო და რებრენდირების სამუშაოები, 2015 წლიდან მთაწმინდის გამგეობა, აღდგენითი-სარესტავრაციო სამუშაოების მომზადება და სხვა), საორგანიზაციო საკითხები

2000-2001 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი-არქიტექტურის ფაკულტეტის ლაბორანტი პრაქტიკული ლექცია-სემინარების მომზადება და ორგანიზება

2006-2008 შპს „საქპროექტ-არქიტექტურა“ მთავარი არქიტექტორი

2005-2006 შპს სამშენებლო კომპანია „მესიჯოღლუ“ მთავარი არქიტექტორი

მოვალეობები: სამშენებლო პროცესის კურირება, საპროექტო წინადადებების და სამუშაოების მომზადება

2023

რეგლამენტთან შესაბამისობის ანალიზი





დავით გოქსაძე

ექსპერტი:



მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანგარიში

შესწავლის საგანი:

სასაწყობე შენობის (შემდეგში საპროექტო ობიექტი) სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის (შემდეგში ტექნიკური დოკუმენტაცია) ტექნიკურ რეგლამენტთან „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ შესაბამისობა.

დამკვეთის რეკვიზიტები:

- დასახელება: შპს „ედრი +“
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალო, ვაჟა ფშაველას გამზ., №45, კორ.24, ბ.21
- +(995) 599 33 12 19
- edriplus@hotmail.com

საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები:

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 80.02.66.821
- მესაკუთრე: ს.ს „ეკრანი-ლილი“
- საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ლილოს დასახლება
- აპროექტო შენობა/ნაგებობა:
  - ფუნქცია: სასაწყობე ობიექტი
  - რაოდენობა: 1
- კლასის განმსაზღვრელი პარამეტრები: 1

სასაწყობე შენობა	შენობის ფუნქციური დანიშნულება
S_{k-2} = 2739,7,0 კვ. მ	შენობის K-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი
H = 8,80 მ	შენობის სიმაღლე
D = 1,5	შენობის ჩაღრმავება
L = 24,0 მ	შენობის მაქსიმალური მალის სიგრძე

- მშენებლობის კლასი: IV

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები:

- ტექნიკური დოკუმენტაცია (შემდეგში ტდ): სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი; თბილისი, 2023 წ.
- საკონტაქტო პირი: ირაკლი მანწკავა
- პასუხისმგებელი არქიტექტორი/სპეციალისტი: დათო მაისაშვილი
- ტდ ფორმატი: CAD და PDF ფაილის ფორმატები.

1 მიიღება ის, რომელსაც ეხება შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტების წესები და ჩაუტარდა განხილვა.

პროექტის განხილვა:

1. იატაკის ზედაპირები და დონეთა ცვლილება (ქვეთავი 302; 303):

1.1. იატაკის ზედაპირები შეესაბამება 302.1 და 302.3 ქვეთავებს;

1.2. პროექტში იატაკის დონეთა ცვლილება შენობაში არ ხორციელდება;

2. მოსატრიალებელი სივრცე (ქვეთავი 304):

2.1. შენობის თითოეულ დაკავებულ მისაწვდომ სივრცეში გათვალისწინებულია 304 ქვეთავის შესაბამისი მოსატრიალებელი სივრცე (დატანილია ნახაზებზე);

3. იატაკის თავისუფალი სივრცე (ქვეთავი 305)

3.1. პროექტის მისაწვდომ სივრცეებში გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცის გაბარიტები, 305_ე ქვეთავის შესაბამისად (დატანილია ნახაზებზე);

4. მისაწვდომი სვლაგეზი (ქვეთავი 401):

4.1. მისაწვდომი სვლაგეზების მიმართულებით, სავალი ხაზის თავისუფალი სიგანის ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები (არაუმცირეს 900მმ სიგანე); ასევე დაცულია ყველა სხვა მოთხოვნა მისაწვდომ სვლაგეზთან მიმართებაში (დატანილია ნახაზებზე);

5. კარი და გზა-კარები (ქვეთავი 404):

5.1. დაცულია წესების მოთხოვნები კარის/გზა-კარის თავისუფალი სიგანისა და კართან მანევრირებისთვის თავისუფალი სივრცის მიმართ 404.2.2; 404.2.3 ქვეთავებისა და 404.2.3.2; 404.2.3.3 ცხრილების მიხედვით (დატანილია ნახაზებზე);

5.2. 404.2.4 ქვეთავის მიხედვით კარის ზღურბლი უნდა იყოს არაუმეტეს 13მმ სიმაღლის;

5.3. კარის კავეულის და დახურვის სიჩქარე გათვალისწინებული უნდა იყოს 404.2.6 და 404.2.7 ქვეთავის შესაბამისად;

5.4. ავტომატურად მოძრავი კარი მოწყობილი უნდა იყოს 404.3 ქვეთავისა და ANSI/BHMA A156.10 სტანდარტის შესაბამისად;

6. პანდუსები (ქვეთავი 405):

6.1. პროექტში პანდუსები არაა წარმოდგენილი;

7. ლიფტები (ქვეთავი 407):

7.1. პროექტი არ საჭიროებს ლიფტებს;

8. ავტოსადგომი სივრცეები (ქვეთავი 502)

8.1. პროექტში დაცულია 502 ქვეთავის მოთხოვნები მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცის გაბარიტებთან მიმართებაში ნახაზები წარმოდგენილია პროექტში;

9. გზა-კიბეები და სახელურები (ქვეთავი 504; 505)

9.1. პროექტი არ საჭიროებს გზა-კიბეებს;

10. წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები (ქვეთვი 602; 604; 606; 607; 608; 609; 610)

10.1. წყლის დასალევი შადრევნები

10.1.1 წყლის დასალევი შადრევნები პასუხობს 602 ქვეთავის მოთხოვნებს, ნახაზები წარმოდგენილია პროექტში;

10.2. უნიტაზები და ტუალეტის ნაკვეთურები

10.2.1 პროექტში დაცულია 604, 606 და 609 ქვეთავის მოთხოვნები ტუალეტის ნაკვეთურების, ხელსაბანი ნიჟარებისა და ხელმოსაჭიდი ძელების მიმართ, ნახაზები წარმოდგენილია პროექტში;

11. ნიშნები (ქვეთავი 703)

11.1. დაცულია და წარმოდგენილია ნახაზები გასასვლელის ნიშნებთან მიმართებაში;

დასკვნა:

ჩემს მიერ შესწავლილი ტდ-ის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტების („მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“) მოთხოვნათა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო ობიექტის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი შეესაბამება ხსენებული რეგლამენტების მოთხოვნებს და ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

ექსპერტი დავით გოქსაძე

20.03.2023, თბილისი

<u>დანართი 1:</u>


GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 002132

This is to certify that Mr./Mrs. David Goksadze T. in 2000 completed a full academic course of the Institute of Architecture of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 11, 2000 Mr. David Goksadze T. is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

City Tbilisi 6. x. 2000

Registration № 01619 Secretary Perodze

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 002132

მიეცა დავით თეიმურაზის ძე გოქსაძეს მასზედ, რომ მან 2000 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით დავით თეიმურაზის ძე გოქსაძეს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 6. x. 2000

სარეგისტრაციო № 01619 მდივანი

დანართი 2:

სახელი, გვარი:	დავით გოქსაძე
დაბადების თარიღი:	1978 წ. 19 თებერვალი
განათლება:	
1995-2000	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი (მაგისტრთან გათანაბრებული).
სამუშაო გამოცდილება	
2011 წლიდან დღემდე	შპს „არქლაინი“ და შპს „არქსვეტის“ დირექტორი მოვალეობები: არქიტექტურული პროექტების მომზადება „სოკარ ჯორჯიან პეტროლეუმი“ საპროექტო და რებრენდირების სამუშაოები, 2015 წლიდან მთაწმინდის გამგეობა, აღდგენითი-სარესტავრაციო სამუშაოების მომზადება და სხვა), საორგანიზაციო საკითხები
2000-2001 საქართველოს	ტექნიკური უნივერსიტეტი-არქიტექტურის ფაკულტეტის ლაბორანტი პრაქტიკული ლექცია-სემინარების მომზადება და ორგანიზება
2006-2008	შპს „საქპროექტ-არქიტექტურა“ მთავარი არქიტექტორი
2005-2006	შპს სამშენებლო კომპანია „მესიჯოღლუ“ მთავარი არქიტექტორი
	მოვალეობები: სამშენებლო პროცესის კურირება, საპროექტო წინადადებების და სამუშაოების მომზადება